

ვალერიან მებრეველი
გიორგი ღავითაშვილი

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

ფენამ, უმცირესობამ, ხოლო ხალხთა ფართო მასებს იგი უნდობლობით ეკიდება. მას ეკუთვნის სიტყვები: „როდესაც მდაბიო ხალხი დაიწყებს განსჯას, მაშინ ყველაფერი დაღუპულია”.

§2. მონტესკიეს პოლიტიკური და სამართლებრივი შესხედულებანი

შედარებით გაბედული პროგრამით გამოდის მეორე ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1680-1755). მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა 1749 წელს დაწერილი შრომა „კანონთა სულის შესახებ”. ამ შრომაში მონტესკიე ცდილობს დაასაბუთოს, რომ კანონები უნდა შეესაბამებოდეს გეოგრაფიულ პირობებს, ეკონომიურ მდგომარეობას, რელიგიასა და განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ დაწესებულებებს. მისი აზრით, კანონმდებელმა ანგარიში უნდა გაუწიოს კლიმატს. მაგ., სამხრეთში ცხელი კლიმატია, ამიტომ ამ ადგილებში სიზარმაცე სუფევს, ამის გამო აქ კანონები ისე უნდა იქნეს შემუშავებული, რომ დაამინოს ხალხი და აიძულოს ისინი იმუშაონ. მონტესკიეს აზრით, სამხრეთის კლიმატის გამო აქ ადგილი უნდა ჰქონდეს მონობას, თუმცა მონობა არსად არ შეესაბამება გონებასა და ბუნებას. მონტესკიე მიუთითებს, რომ სამხრეთში დესპოტიზმიც ხშირად მყარდება იმის გამო, რომ ცხელი კლიმატი ადამიანებს ქანცავს, ძალას უღევს და განსაკუთრებულ პირობებს ქმნის პოლიტიკური მონობის დასამყარებლად. მაგრამ მონტესკიეს ეს მოსაზრება ახალი არ არის. იგი ეკუთვნის არისტოტელეს, ასევე ჟან ბოდენს, თუმცა ამ უკანასკნელმაც არისტოტელესაგან იხელმძღვანელა.

მონტესკიეს აზრით, კანონმდებლობაზე მოქმედებს ასევე ნიადაგი. ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს დამორჩილებას, რადგან ის ვინც მიწათმოქმედებას მისდევს მხოლოდ თავისი საქმეებითაა დატვირთული და ვეღარ ინარჩუნებს თავისუფლებას. უნაყოფო ნიადაგი, კი პირიქით, ხელს უწყობს თავისუფლებას, რადგან მასზე მცხოვრები ადამიანები იძულებულნი არიან თვითონ დამოუკიდებლად მოიპოვონ სარჩო, უნაყოფო ნიადაგი ადამიანებს აწრთობს, ხდის მამაცს, მეომარს, რათა დაიცვას საკუთარი თავისუფლება.

მონტესკიეს აზრით, მთა და კუნძულები ხელს უწყობს ადამიანთა თავისუფლებას.

გეოგრაფიულ ფაქტორთან შედარებით მონტესკიე კიდევ მეტ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ ფაქტორს, ე.ი. სახელმწიფო მმართველობას, მისი აზრით, პოლიტიკური წყობა განსაზღვრავს კანონების სულს და შეუძლია დაამუხრუჭოს გეოგრაფიული ფაქტორის მოქმედება.

მონტესკიე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა ფაქტორებსაც, მაგ., მოსახლეობის სიმჭიდროვეს, რელიგიას და ა.შ.

მონტესკიე სპეციალურად ჩერდება სახელმწიფოს ფორმის საკითხზე. იგი იცნობს დემოკრატიულ და არისტოკრატიულ რესპუბლიკებს, ასევე მონარქიას. დემოკრატიის დროს უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის, არისტოკრატიის დროს - პირთა შეზღუდულ რიცხვს, ხოლო მონარქიაში კი მართავს ერთი პირი, რომელიც ემყარება კანონებსა და თავდააზნაურობას. ეს უკანასკნელი, მონტესკიეს მიხედვით, მონარქიის აუცილებელი ნიშანია. ასეთია სახელმწიფოს სამი სამართლიანი ფორმა. მონტესკიეს არ მიაჩნია დესპოტია სახელმწიფოს სამართლიან ფორმად, რადგან დესპოტიაში ყველაფერი დამყარებულია შიშზე. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მონტესკიეს აზრით, კანონმდებლობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ფორმაზე. მონტესკიე ერთმანეთს ადარებს პატარა და დიდ სახელმწიფოებს. მისი აზრით, პატარა სახელმწიფო შეიძლება დაიღუპოს დიდი სახელმწიფოს მიერ. დიდი მონარქია კი გაცილებით ძლიერია, მაგრამ სიდიდის გამო გარკვეულ შინაგან რღვევებს განიცდის. აღსანიშნავია, რომ მონტესკიე გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც სახელმწიფო მმართველობას, ისე - კანონებს.

მონტესკიეს მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსაზრებას თავისუფლებასა და მისი მოპოვების საშუალებებზე. მისი აზრით, თავისუფლება სულის სიმშვიდეა, თავისუფლების მოპოვება კი კანონიერების დამყარებით შეიძლება. პოლიტიკური მოღვაწის ძირითადი მოვალეობაა შეიცნოს კანონიერების დამყარების გზები. მონტესკიეს აზრით, სახელმწიფოში კანონიერების დასამყარებლად აუცილებელია ხელისუფლების დანაწილება. იგი სახელმწიფოში სამგვარ ხელისუფლებას იცნობს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო. ამასთან, დაუშვებლად მიაჩნია ორი ან სამი სახის ხელისუფლების თავმოყრა ერთი პირის ხელში.

მისი აზრით, ხელისუფლების დანაწილება მოსახერხებელია კონსტიტუციურ მონარქიაში, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლება ხელთ უპყრია ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს, მეფეს - აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს - სასამართლო ხელისუფლება. მონტესკიეს მოთხოვნა, შემოეღოთ საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია და დაენაწილებინათ ხელისუფლება, ფაქტობრივად, საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის უარყოფას ნიშნავდა. სწორედ აქ უნდა ვხედავდეთ მონტესკიეს პროგრესულობას. მონტესკიეს მოძღვრებამ ხელისუფლების დანაწილების თაობაზე ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ვოლტერი მას „გონების და თავისუფლების კოდექს“ უწოდებდა. მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების თეორია აისახა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის აქტებში 1789-1791 წლებში.

§3. რუსოს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

მონტესკიესთან შედარებით უფრო რადიკალური პროგრმით გამოდის დიდი ფრანგი განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778).

ჟან-ჟაკ რუსო დაიბადა ჟენევაში - მესაათის ოჯახში. 16 წლისამ დატოვა მშობლიური ქალაქი და მრავალი წლის განმავლობაში დაეხეტებოდა შვეიცარიასა და საფრანგეთში ისე, რომ რაიმე გარკვეული სპეციალობა არ ჰქონია. სარჩოს შოულობდა სხვადასხვა გზით. იყო მუსიკოსი, მსახური, სახლის მდივანი, ნოტების გადამწერი და სხვ. რუსო გვევლინება საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგად, რომლის იდეებმა დიდი როლი შეასრულეს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მომზადებისა თუ მიმდინარეობის პროცესში. რუსოს პირველი წარმატება მოუტანა კონკურსისათვის წარდგენილმა ნაშრომმა: „ხელს უწყობს თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღმავლობა ჩვევების (მორალის) გაუმჯობესებას? გარდა ამისა, ცნობილია რუსოს შემდეგი შრომები „ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობა და მათი მიზეზები“. „ახალი ელიოზა“, „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ (1762). „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762). რუსოს შრომებში მოცემულია ფეოდალური ჩაგვრის, თვითნებობის, მეფის ხელისუფლების დესპოტიზმისა და ჩამორჩენილობის

უ. ლ. მონტესკიე

კანონთა გონი

ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ

C I P D D

თბილისი
1994

ან კიდევ საკუთარ თავთან ურთიერთობისთვის ემსახურება.

სიამოვნებისადმი სწრაფვით ისინი ინახავენ (conserver) თავიანთ კერძო არსებობას და იმავე სწრაფვით ინარჩუნებენ თავიანთ მოდგმას. ცხოველებს ბუნებრივი კანონები აქვთ, რადგან ისინი ერთმანეთთან გრძნობით არიან დაკავშირებულნი. მათ სრულებით არ გააჩნიათ პოზიტიური კანონები, რადგან ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიან ცნობიერებით (la connoissance), მაგრამ ისინი უცვლელად არც მიჰყვებიან თავიანთ ბუნებრივ კანონებს: მცენარეები, რომლებშიც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ვერც ცნობიერებას, ვერც გრძნობას, უკეთ მიჰყვებიან მათ.

ცხოველები მოკლებულნი არიან იმ უმაღლეს უპირატესობას (les avantages), რომლებიც ჩვენ გავაჩნია: სამაგიეროდ მათ ისეთები გააჩნიათ, რომლებიც ჩვენ არ გვაქვს. მათ სრულებით არა აქვთ ჩვენებრი იმედი, მაგრამ არც ჩვენებრი შიში აქვთ; ისინიც ჩვენსავით ექვემდებარებიან სიკვდილს, მაგრამ ისე, რომ ამის ცოდნა არა აქვთ; მათი უმრავლესობა თავს ჩვენზე უკეთესადაც კი ინახავს და ჩვენსავით ბოროტად არ იყენებს თავის ვნებებს (Les passions).

აღამიანი, როგორც ფიზიკური არსება, მსგავსად სხვა სხეულებისა, წარმართულია უცვლელი კანონებით. როგორც გონიერი არსება, იგი გამუდმებით არღვევს ღმერთის მიერ დადგენილ კანონებს და ცვლის თავის მიერვე დადგენილ კანონებს. მან თავისთავი უნდა მართოს, მაგრამ ამავე დროს იგი შეზღუდული არსებაა; იგი მსხვერპლია უმეცრებისა და ცდომილებისა, როგორც ყოველი სასრული გონიერი არსება; იმ სუსტ ცნობიერებასაც, რომელიც მას გააჩნია, იგი სრულად ვერ იყენებს. როგორც გრძნობიანი ქმნილება, იგი მრავალ ვნებას ექვემდებარება. ასეთ არსებას ყოველ წუთს შეუძლია დაივიწყოს თავისი შემოქმედი. ამიტომ ღმერთმა მას თავისი თავი შეახსენა რელიგიის კანონების მეშვეობით; ასეთ არსებას ყოველ წუთს შეუძლია საკუთარი თავის დაივიწყებაც. ამიტომ ფილოსოფოსებმა იგი გააფრთხილეს მორალის კანონთა მეშვეობით; საზოგადოებაში ცხოვრებისათვის შექმნილ მას ძალუძს სხვებიც დაივიწყოს, ამიტომ კანონმდებლებმა მას მისი მოვალეობები შეახსენეს პოლიტიკური და სამოქალაქო კანონების მეშვეობით.

II თ ა ვ ი

ბუნების კანონები

ყველა ამ კანონს წინ უძღვის ეგრეთ წოდებული ბუნების კანონები. მათ ასე ეწოდებათ იმიტომ, რომ ისინი გამომდინარეო-

ბენ უშუალოდ ჩვენი არსების აღნაგობიდან. იმისათვის, რომ კარგად შევიცნოთ ისინი, საჭიროა⁶ ადამიანი განვიხილოთ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც წინ უსწრებს საზოგადოების წარმოშობას. ბუნების კანონები იქნება ის კანონები, რომელთაც იგი ემორჩილება ასეთ მდგომარეობაში.

ეს კანონი, რომელიც შემოქმედის იდეას გვინერგავს და ამით მისკენ მიყვებით, ბუნების კანონთა შორის პირველია თავისი მნიშვნელობით, თუმცა არა დროითი უწინარესობით. ადამიანს ბუნებრივ მდგომარეობაში უმაღ უნარი აქვს შემეცნებისა, ვიდრე შემეცნება. ცხადია, რომ მისი პირველი აზრები სპეკულატიური არ იქნება. იგი უმაღ თავისი არსებობის დაცვაზე იფიქრებს, ვიდრე მის წარმომავლობაზე. ასეთი ადამიანი თავდაპირველად მხოლოდ თავის სისუსტეს გრძნობს; იგი ძალიან მორიდებულია. თუ ამის დასადასტურებლად მაგალითი დაგვჭირდება, მას ვნახავთ ტყეებში მოსახლე ველურთა სახით, რომლებიც ყველაფერზე კანკალებენ და ყველაფერს გაუბრძობან⁷.

ასეთ მდგომარეობაში ყოველი ადამიანი თავს სხვაზე უძლურად იგრძნობს, ძნელია, მან თავი სხვათა თანასწორად ჩათვალოს; მისთვის უცხოა სხვაზე თავდასხმა. ამგვარად, მშვიდობა მისი პირველი ბუნებრივი კანონია.

ჰობსი ცდება, როდესაც თვლის, რომ პირველყოფილ ადამიანებს ერთმანეთზე ბატონობის სურვილი აქვთ. ძალაუფლებისა და ბატონობის იდეა ისე რთულია და იმდენ სხვა იდეაზეა დამოკიდებული, რომ იგი ვერ იქნება პირველადი.

ჰობსი კითხულობს⁸: “თუ ადამიანები ბუნებრივად არ იმყოფებიან ომის მდგომარეობაში, რატომ დადიან მუდამ შეიარაღებულნი და რატომ კეტავენ გასაღებით თავიანთ სახლებს?”⁴. მაგრამ ამ კითხვის დასმაში იგი ვერ გრძნობს, რომ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ცხოვრობდნენ, მიაწერს იმას, რაც მათ შეიძლება მოსვლოდათ მხოლოდ ამ საზოგადოების გაჩენის შემდეგ, რომელმაც მათში აღძრა თავდასხმისა და თავდაცვის მოტივები.

უძლურების გრძნობას ადამიანში უერთდება მოთხოვნილებების გრძნობაც. ამგვარად, მეორე ბუნებრივი კანონი ის იქნება, რომელიც ადამიანს უბიძგებს საკვების საძებრად.

მე წეღან ვთქვი, რომ შიში აიძულებს ადამიანებს, ერთმანეთს გაექცნენ. მაგრამ ორმხრივი შიშის ნიშნები მათ მალე აიძულებს ერთმანეთთან დაახლოებას. გარდა ამისა, მათ, ალბათ, ამოძრავებთ სიამოვნებაც, რომელსაც ერთი ცხოველი განიცდის მეორე, მისი გვარის ცხოველის მიახლოებისას. ამასთან ის მომხიბველობაც, რომელიც გამოწვეულია ორი სქესის სხვაობით, უფრო მეტად ზრდის ამ სიამოვნებას. ამგვარად, ის ბუნებრივი

ვედრება (la prière), რომლითაც ეს არსებები ერთიმეორეს მიმართავენ, მესამე კანონი იქნება.

გარდა გრძნობისა, რომელიც ადამიანებს პირველადვე აქვთ, ისინი შემდეგში იძენენ შემეცნებასაც. ამგვარად, მათ უნდებოთ კიდევ მეორე კავშირი ერთმანეთს შორის, რომელიც არ გააჩნიათ ცხოველებს. მაშასადამე, მათ აქვთ გაერთიანების ახალი მოტივიც და, ამგვარად, საზოგადოებად ცხოვრების სურვილი მეოთხე ბუნებრივი კანონია⁹.

III თ ა 3 0

საზოგადოებრივი კანონები

როგორც კი ადამიანები საზოგადოებაში მოექცევიან, ისინი კარგავენ თავიანთი სისუსტის გრძნობას. მათ შორის არსებული თანასწორობა ქრება და იწყება ომის მდგომარეობა¹⁰. ყოველ ცალკეულ საზოგადოებას უნდება თავისი ძალის გრძნობა; ეს კი წარმოშობს ომის მდგომარეობას ერებს შორის. ყოველ საზოგადოებაში ცალკეულ ადამიანებს უნდებოთ თავიანთი ძალის გრძნობა. ისინი ცდილობენ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნონ ამ საზოგადოებაში არსებული ძირითადი უპირატესობები, რაც წარმოშობს ომის მდგომარეობას მათ შორის.

საომარი მდგომარეობის ეს ორი სახე განაპირობებს კანონთა დადგენას ადამიანთა შორის. თუ ადამიანებს განვიხილავთ როგორც ისეთი დიდი პლანეტის ბინადართ, რომელზეც აუცილებელია სხვადასხვა ხალხთა არსებობა, მაშინ მათ კანონები ექნებათ იმ მიმართების თაობაზე, რომელიც სხვადასხვა ხალხებს შორის არსებობს. ეს არის **ხალხთა სამართალი*** (le droit des gens), თუ მათ განვიხილავთ, როგორც ისეთ საზოგადოებაში მცხოვრებთ, რომელსაც შენახვა სჭირდება, მაშინ მათ კანონები ექნებათ იმ მიმართების თაობაზე, რომელიც არსებობს მართლებსა და მმართველებს შორის. ეს არის **პოლიტიკური სამართალი**. მათ ასევე, აქვთ კანონები მოქალაქეთა შორის ურთიერთობისათვის - ეს არის **სამოქალაქო სამართალი**.

საერთაშორისო სამართალი ბუნებრივად დაფუძნებულია ამ პრინციპზე: მშვიდობის დროს სხვადასხვა ერებმა ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი სიკეთე უნდა მოუტანონ, ხოლო ომის დროს, - რაც

* "ხალხთა სამართალი" ფრანგულ ენაზე დღემდე ეწოდება საერთაშორისო სამართალს. ქვემოთ ამ ტერმინს "საერთაშორისო სამართალად" ვთარგმნით (მთარგმნ. შენ.)

შეიძლება ნაკლები ბოროტება, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ თავიანთ ჭეშმარიტ ინტერესებს.

ომის მიზანი გამარჯვებაა, გამარჯვებისა - დაპყრობა, დაპყრობის მიზანი დაპყრობილის შენარჩუნებაა¹¹. ამ და ამის წინ მოხსენიებული პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს ყველა კანონი, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სამართალს.

ყველა ერს გააჩნია საერთაშორისო სამართალი; თვით იროკეზებსაც¹² კი, რომლებიც ჭამენ თავიანთ ტყვეებს, მოეპოვებათ იგი. ისინი გზავნიან და დებულობენ ელჩებს; ისინი ცნობენ ომისა და მშვიდობის კანონებს. ცუდი ის არის, რომ მათი ეს საერთაშორისო სამართალი დამყარებული არ არის ჭეშმარიტ პრინციპებზე.

გარდა საერთაშორისო სამართალისა, რომელიც ეხება ყველა საზოგადოებას, არსებობს პოლიტიკური სამართალიც თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე. საზოგადოება ვერ იარსებებს მთავრობის (Le gouvernement) გარეშე. გრავინამ (Gravina) ჩინებულად თქვა¹³, რომ ყველა ცალკეული ძალების შეკრება ქმნის იმას, რასაც ეწოდება პოლიტიკური მდგომარეობა (l'état politique). ეს საერთო ძალაუფლება შეიძლება იყოს ერთის ხელში ან რამდენიმეს ხელში. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ვინაიდან მამობრივი ძალაუფლება (pouvoir paternel) დადგენილია თვით ბუნების მიერ, ერთპიროვნული მმართველობა ყველაზე უფრო შესაბამისი იქნება ბუნებისა. მაგრამ მამობრივი ძალაუფლების მაგალითი ვერაფერს ამტკიცებს. რადგან, თუ მამის ძალაუფლებას რაღაც მიმართება აქვს ერთპიროვნულ მმართველობასთან, მამის სიკვდილის შემდეგ ძმების ძალაუფლებას, ან კიდევ ძმების სიკვდილის შემდეგ ბიძაშვილების ძალაუფლებას მიმართება აქვს რამდენიმე ძალაუფლებასთან. პოლიტიკური ძალაუფლება აუცილებლობით გულისხმობს რამდენიმე ოჯახის კავშირს.

უმჯობესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთავრობა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ესადაგება ბუნებას, ის მთავრობაა, რომლის კერძო ხასიათიც ყველაზე უფრო უკეთ ესადაგება იმ ხალხის ხასიათს, რომლისათვისაც იგი არის შექმნილი.

ცალკეული ძალები ვერ გაერთიანდებიან, თუ არ გაერთიანდა მათი ყველა ნება. გრავინა ასევე ჩინებულად ამბობს, რომ -“ამ ნებათა შეერთება არის ის, რასაც სამოქალაქო მდგომარეობას უწოდებენ“.

საერთოდ, კანონი ადამიანური გონებაა, რამდენადაც იგი განაგებს მსოფლიოს ყველა ხალხებს. ყოველი ერის პოლიტიკური და სამოქალაქო კანონები სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არ კერძო შემთხვევები ამ ადამიანური გონების (la raison) გამოყენებისა.


ეს კანონები იმდენად შესაფერისი უნდა იყოს იმ ხალხისათვის, რომლისთვისაც შეიქმნა, რომ მხოლოდ ძალიან იშვიათ

შემთხვევაში უნდა შეიძლებოდეს, რომ ერთი ხალხის კანონები რომელიმე სხვას გამოადგეს.

საჭიროა, რომ ეს კანონები შეესაბამებოდნენ იმ მმართველობის ბუნებასა და პრინციპს, რომელიც ამ საზოგადოებაში არსებობს ან გვინდა, რომ დავადგინოთ, თუნდ ისინი ქმნიდნენ მმართველობას, როგორც პოლიტიკური კანონები ქმნიან, და თუნდ ინახავდნენ მას, როგორც სამოქალაქო კანონები ინახავენ. ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ქვეყნის ფიზიკურ მონაცემებს: ცივ, ცხელ თუ ზომიერ ჰავას; ნიადაგის ხარისხს (*la qualité*), მის მდებარეობასა და სიდიდეს; ხალხის— მიწათმოქმედთა, მონადირეთა, მწყემსთა - ცხოვრების წესს. ისინი უნდა შეესაბამებოდნენ თავისუფლების იმ ხარისხს, რომელსაც სახელმწიფო წყობა (*la constitution*) აიტანს; მოსახლეობის რელიგიას, მათ მიდრეკილებებს, სიმდიდრეს, რაოდენობას, კომერციას, ადათებს; დაბოლოს, კანონები დაკავშირებული არიან ერთიმეორესთან, თავიანთ დასაბამთან, კანონმდებლის მიზანთან, საგანთა ამ წყობასთან, რომელსაც ემყარებიან. ისინი უნდა განვიხილოთ ყველა ამ თვალსაზრისით.

სწორედ ამის გაკეთება მსურს ამ ნაშრომში. მე განვიხილავ ყველა ამ მიმართებას, რომლებიც ერთად იმას ქმნიან, რასაც კანონთა გონს* ვუწოდებთ.

პოლიტიკური კანონები არ გამოიყვია სამოქალაქოთაგან. რადგან - რამდენადაც მე ვიხილავ კანონთა გონს და არა თვით კანონებს, ხოლო ეს გონი მდგომარეობს სხვადასხვა მიმართებებში, რომლებიც კანონებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა საგნებთან - მე ნება-უნებურად უნდა მივყოლოდი არა იმდენად კანონთა ბუნებრივ რიგს, რამდენადაც ამ მიმართებისა და საგნებისას.

თავდაპირველად განვიხილავ კანონთა მიმართებებს ბუნებასთან და ყოველი მმართველობის** პრინციპთან; და, ვინაიდან ეს პრინციპი ძალიან დიდ გავლენას ახდენს კანონებზე, შევეცდები მის კარგად შეცნობას. თუ შევძლებ ამ პრინციპის დადგენას, დაინახავთ, თუ როგორ გამომდინარეობენ კანონები ამ უკანასკნელიდან, როგორც თავისი წყაროდან. შემდეგ გადავალ სხვა მიმართულებებზე, რომლებიც უფრო კერძო ხასიათისანი ჩანან. 

* *l'esprit* "გონადაც" ითარგმნება და "სულისკვეთებადაც". ვინაიდან მეორე ცნება კონტექსტს იშვიათად დააკმაყოფილებს, ვარჩიეთ ყველგან "გონი" გვეხმარა (მთარგმნ.შენ.)

** ტერმინს *le gouvernement* „მთავრობადაც“ ვთარგმნით და „მმართველობადაც“. პირველში უფრო იგულისხმება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც აზორციელებს მართვას, მეორეში - თვით ეს მართვა, როგორც უწყტია, და მისი განხორციელების პროცესი (მთარგმნ.შენ.).

II ო ბ ნ ი

კანონები, რომლებიც უშუალოდ მმართველობის ბუნებიდან გამომდინარეობენ

I თ ა ვ ი

სამი სხვადასხვა მმართველობის ბუნება

არსებობს სამი სახის მმართველობა: რესპუბლიკური, მონარქიული და დესპოტური. მათი ბუნების აღმოსაჩენად საკმარისია მივმართოთ იმ იდეას მათ შესახებ, რომელიც ყველაზე ნაკლებ განათლებულ ადამიანსაც კი აქვს. მე ვუშვებ სამ განმარტებას ან, თუ გნებავთ, სამ ფაქტს: რესპუბლიკური მმართველობა ისეთი მმართველობაა, როცა უმაღლესი ძალაუფლება მთელი ხალხის ან მხოლოდ მისი ერთი ნაწილის ხელშია. მონარქიული მმართველობის დროს ერთი ადამიანი მართავს, მაგრამ მართავს დადგენილი და მყარი კანონებით, მაშინ როდესაც დესპოტური მმართველობის დროს ერთი ადამიანი ყოველგვარი წესისა და კანონის გარეშე განაგებს (entraîne) ყველაფერს თავისი სურვილებისა და კაპრიზების მიხედვით.

აი, რას ვუწოდებ თითოეული ამ მმართველობათაგანის ბუნებას. საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორია კანონები, რომლებიც უშუალოდ ამ ბუნებიდან გამომდინარეობენ და, მაშასადამე, პირველი ძირითადი კანონები არიან.

II თ ა ვ ი

რესპუბლიკური მმართველობა და დემოკრატიისათვის დაახასიათებელი კანონები¹⁴

როცა რესპუბლიკაში უმაღლესი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, მაშინ საქმე გვაქვს დემოკრატიასთან. თუ იგი ხალხის ნაწილს ეკუთვნის, მაშინ ასეთ მმართველობას არისტოკრატიული ეწოდება.

დემოკრატიის დროს ხალხი ზოგი მხრივ მონარქია, ზოგი მხრივ კი ქვეშევრდომია.

იგი მონარქია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქვს საარჩევნო ხმები, რომლებითაც გამოხატავს თავის ნებას. სუვერენულის ნება

თვითონ სუვერენულია. კანონები, რომლებითაც განსაზღვრავენ საარჩევნო ხმას, ამ მმართველობის ძირითადი კანონებია. მართლაც, რესპუბლიკისათვის ისევე მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ როგორ, ვის მიერ, ვისთვის და რაზე უნდა იქნეს მიცემული ხმა, როგორც მონარქიაში აუცილებელია იცოდეთ, თუ რომელია მონარქი და როგორი წესით უნდა მართოს მან.

ლიბანიოსი ამბობს, რომ უცხოელს რომელიც ათენში ხალხის ყრილობაში შეეროდა, სიკვდილით ისჯებოდა. ეს იმიტომ, რომ ასეთი კაცი სუვერენობის უფლების უზურპაციას ახდენდა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ მოქალაქეთა რიცხვის დადგენას, რომლებიც უნდა შეადგენდნენ კრებებს. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენაც, მთელმა ხალხმა გამოთქვა აზრი თუ მხოლოდ მისმა ნაწილმა. ლაკედემონში ამისთვის საჭირო იყო ათი ათასი მოქალაქე; რომში, რომელიც მცირე იყო და სიდიადეს მიაღწია, - რომში, რომელსაც წილად ხვდა ბედის ყველა უკუღმართობა, რომში, რომელსაც ხან თითქმის ყველა თავისი მოქალაქე თავის კედლებს მიღმა ჰყავდა, ხან კი მთელი იტალია და დედამიწის ნაწილი კედლებს შიგნით, - რომში ეს რიცხვი არ დადგენილა და სწორედ ეს გახდა მისი დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი¹⁵.

ხალხი, რომელსაც აქვს სუვერენული ხელისუფლება, თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც კარგად არ შეუძლია, თავისი მინისტრების* შეშვეობით უნდა ახორციელებდეს.

მინისტრები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან მისი, თუ იგი მათ დაასახელებს. მაშასადამე, ამ მმართველობის ძირითადი მაქსიმაა ის, რომ ხალხი ასახელებდეს თავის მინისტრებს ანუ თავის თანამდებობის პირთ.

შეიძლება ითქვას - ხალხს მონარქებზე უფრო მეტად სჭირდება, რომ მას საბჭო ან სენატი¹⁶ წარმართავდეს. მაგრამ იმისათვის, რომ ხალხი ამ უკანასკნელს ენდობოდეს, საჭიროა, თვითონ ირჩევდეს მის წევრებს, თუნდ თვითონ უშუალოდ ირჩევდეს მათ, როგორც ათენში ხდებოდა, თუნდ რაღაც დაწესებულების მეშვეობით, რომელსაც მათ ასარჩევად ქმნის, როგორც ეს ხდებოდა რომში ზოგიერთ შემთხვევაში.

ხალხს ჩინებულად შეუძლია იმ ადამიანების არჩევა, ვისაც უნდა ანდოს თავისი ძალაუფლების გარკვეული ნაწილი. მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ნაცნობი და აშკარა ფაქტებით. ხალხმა

* სიტყვას "მინისტრი" ავტორი აქ მისი ამოსავალი აზრით ("დამხმარე") ხმარობს და ამიტომ "რწმუნებულადაც", "ნლობითაღჭურვილ პირადაც" შეიძლება ითარგმნოს (მთარგმნ. შენ.).

კონსტიტუციები ძალიან გონივრული იყო ამ მიმართებით. სენატის განჩინებებს (Les arrêts) კანონის ძალა ჰქონდათ ერთი წლის განმავლობაში და მხოლოდ ხალხის ნებით ხდებოდნენ ისინი მუდმივი.

III თ ა ვ 0

არისტოკრატიული წყობის დამახასიათებელი კანონები

არისტოკრატიული წყობის³⁵ დროს უმაღლესი ძალაუფლება გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ხელშია. ეს პირები ადგენენ კანონებს და აიძულებენ სხვებს მათ განხორციელებას. დანარჩენი ხალხი მათთან მიმართებით იგივეა, რაც ქვეშევრდომნი მონარქის მიმართ.

აქ არჩევნები არ უნდა ხდებოდეს წილისყრით; ეს მხოლოდ უარყოფით მოვლენებს გამოიწვევდა. მართლაც, ისეთ მმართველობაში, რომელშიც უკვე დადგენილია ყველაზე უფრო სავალალო სხვაობები ადამიანებს შორის, წილისყრით არჩეული თანამდებობის პირნი ნაკლებ საძულველნი არ გახდებოდნენ იმის გამო, რომ წილისყრით იქნებოდნენ არჩეულნი, აქ შურს იწვევს წარჩინებულობა და არა მმართველობითი ფუნქცია (le magistrat).

როდესაც წარჩინებულნი რიცხობრივად მრავალნი არიან, მაშინ საჭიროა სენატის არსებობა იმ საქმეების მოსაწესრიგებლად, რომელთა გადაჭრაც წარჩინებულთა კორპუსს არ ძალუძს. სენატი ამზადებს იმ საქმეებს, რომელთაც წარჩინებულთა კორპუსი გადაჭრის. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ არისტოკრატია, გარკვეული აზრით, წარმოადგენს სენატს, წარჩინებულთა კორპუსი - დემოკრატიას, ხალხი კი არარაა³⁶.

არისტოკრატიულ მმართველობაში ბედნიერება იქნებოდა, რაიმე არაპირდაპირი გზით ხალხი რომ გამოეყვანათ მისი ამგვარი არარაობის მდგომარეობიდან. ასე, მაგალითად, გენუაში წმ. გიორგის ბანაკს, ძირითადად, ხალხის თავკაცნი (les principaux) განაგებენ³⁷; ამით ხალხს ეძლევა გარკვეული გავლენა მთავრობაზე, რაც მთელ მის კეთილდღეობას განაპირობებს.

სენატორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, თავისი ნებით შეავსონ იმათი ადგილები, ვინც სენატს აკლია. ეს გამოიწვევდა მათ მიერ ძალაუფლების გამუდმებულ ბოროტად გამოყენებას; რომში, რომელიც თავდაპირველად ერთგვარი არისტოკრატიული სახელმწიფო იყო, სენატს უფლება არ ჰქონდა თვითონ აერჩია თავისი წევრები: ახალ სენატორებს ცენზორები ასახელებდნენ³⁸.

თუ რესპუბლიკაში ამა თუ იმ მოქალაქეს ერთბაშად ეძლევა

არსებობის ეჭვიც აქვს. რომის დიქტატურა კი უფრო მუქარით იმოქმედებდა, ვიდრე სასჯელით, თვით იმ დანაშაულობათა მიმართაც კი, რომლებიც აღიარებული იყო მათ ჩამდენთა მიერ.

ყოველ ამგვარ მაგისტრატურაში საჭიროა, რომ მისი ძალაუფლების სიდიდეს აწონასწორებდეს მისი ხანმოკლეობა⁴⁰. კანონმდებელთა უმრავლესობა საამისოდ ერთ წელიწადს ადგენდა. ხანგრძლივი ვადა სახიფათო იქნებოდა, უფრო ხანმოკლე კი - საქმის ბუნების საწინააღმდეგო. ამ წესით ხომ თავისი საოჯახო საქმეების წარმართვასაც კი არავინ ისურვებდა. რაგუზაში⁴¹ რესპუბლიკის ბელადი ყოველ თვე იცვლება, დანარჩენი თანამდებობების პირები - ყოველ კვირა, ციხის უფროსი - ყოველ დღე. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოებით გარშემორტყმულ პატარა რესპუბლიკაში⁴², რადგან ეს მეზობლები ადვილად შეძლებენ წვრილი მოხელეების მოსყიდვას.

საუკეთესოა ის არისტოკრატიული მმართველობა, სადაც ხალხის ნაწილი, რომელსაც არავითარი წილი არ უდევს ძალაუფლებაში, ისე მცირერიცხოვანი და ისე ღარიბია, რომ გაბატონებულ ნაწილს მისი ჩაგვრის არავითარი ინტერესი არ აქვს. ასე, მაგალითად, როდესაც ანტიპატრემ⁴³ ათენში დაადგინა, რომ ის, ვისაც ორი ათასი დრაჰმა არ ექნებოდა, დაკარგავდა ხმის მიცემის უფლებას, ამით მან საუკეთესო არისტოკრატიული მმართველობა შექმნა, რაც კი შეიძლებოდა, რადგან ეს ცენზი იმდენად მცირე იყო, რომ მხოლოდ ძალიან ცოტას ართმევდა ამ უფლებას და არ ეხებოდა არავის, ვინც კი ქალაქში რაიმე პატივით სარგებლობდა.

ამგვარად, არისტოკრატიული ოჯახები რამდენადაც შესაძლებელია ახლოს უნდა იყვნენ ხალხთან. რაც უფრო მიუახლოვდება არისტოკრატია დემოკრატიას, მით უფრო უზადო იქნება იგი, და მით უფრო უარესი, რაც მეტად მიუახლოვდება მონარქიას.

ყველაზე არასრულყოფილია ის არისტოკრატიული წყობა, სადაც ხალხის დამორჩილებული ნაწილი მოქალაქეობრივ მონობაში იმყოფება გაბატონებულ ნაწილთან, როგორც პოლონეთის არისტოკრატიაა, სადაც გლეხები წარჩინებულთა მონები არიან.

IV თ ა 3 0

კანონები მონარქიული მმართველობის ბუნებასთან მიმართებაში

შუალედური, დაქვემდებარებული და დამოუკიდებელი ძალაუფლებანი (Les pouvoirs) ქმნიან მონარქიული მმართველობის

ბუნებას, ანუ ისეთი მმართველობისას, სადაც ერთი კაცი განაგებს ძირითადი კანონების მიხედვით. მე ვთქვი, შუალედური, დაქვემდებარებული და დამოუკიდებელი ძალაუფლებანი-მეთქი. მართლაც, მონარქიაში ყოველგვარი პოლიტიკური და სამოქალაქო ძალაუფლების წყარო თვითონ ხელმწიფეა (le prince). ამიტომ ეს ძირითადი კანონები აუცილებლობით გულისხმობენ შუალედურ არხებს, რომლებითაც მოედინება ძალაუფლება (la puissance), რადგან, თუკი სახელმწიფოში ერთის წუთიერი და ჭირვეული სურვილის გარდა სხვა არაფერი არსებობს, მაშინ არაფერი იქნება მყარი და, მაშასადამე, არავითარი ძირითადი კანონიც არ იარსებებს.

ყველაზე უფრო ბუნებრივი შუალედური ძალაუფლება (le pouvoir) თავადაზნაურობის (la noblesse) ძალაუფლება გახლავთ. მას როგორღაც მოიცავს თვითონ მონარქიის არსება, რომლის ძირითადი მაქსიმაა: თუ არ არის მონარქი, არ არის თავადაზნაურობა. თუ არ არის თავადაზნაურობა, არც მონარქიაა⁴⁴. მაგრამ ასეთ მონარქიაში არის დესპოტი.

არიან ადამიანები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, თითქოს შესაძლებელი იყოს ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში დიდებულთა (des seigneurs) ყოველივე მართლმსაჯულების გაუქმება. ისინი ვერ ხედავენ, რომ იმის გაკეთება მოუსურვებიათ, რაც ინგლისის პარლამენტმა ქმნა: გააუქმეთ მონარქიაში დიდებულთა, სამღვდელოების, თავადაზნაურთა, ქალაქთა პრეროგატივები და ხელთ შეგრჩებათ ან სახალხო, ან დესპოტური სახელმწიფო.

ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს⁴⁵ ტრიბუნალები რამდენიმე საუკუნეა რაც უტყვენ დიდებულთა მემკვიდრეობით (patrimoniales) იურისდიქციას და სასულიერო იურისდიქციას (ecclésiastique). ჩვენს მიზანს არ შეადგენს ასეთი ბრძენი მაგისტრატურების კრიტიკა, მაგრამ ღიად ვტოვებთ საკითხს, რა ზომამდე შეიძლება ამით შეიცვალოს სახელმწიფოს წყობა.

მე სრულებითაც არ გამოვიდებ თავს სასულიერო წოდების პრივილეგიების დასაცავად, მაგრამ მაინც ვისურვებდი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო მისი იურისდიქცია. საკითხი იმას კი არ ეხება, გონივრული იყო თუ არა მისი დადგენა, არამედ იმას, დადგენილია თუ არა იგი, არის თუ არა იგი ქვეყნის კანონთა ნაწილი დღეს და ყველგან დაკავშირებულია თუ არა ამ ქვეყნის ვითარებასთან; იმას, უნდა იყოს თუ არა იმ ორ ძალაუფლებას შორის, რომლებიც ურთიერთდამოუკიდებლად მიგვანჩნია, ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება და იმას, სულერთია თუ არა კარგი ქვეშევრდომისათვის, ხელმწიფის სამართალს დაიცავს იგი თუ იმ საზღვრების არსებობას, რომლებსაც ეს სამართალი ყოველთვის უდგენდა თავისთავს.

რამდენადაც სამღვდელოების ძალაუფლება საშიშია

მას არა აქვს ხალხის საკმაო ნდობა. მაშასადამე, მას არც ხალხის განათლება შეუძლია გასაჭირის დროს და არც მისი დამორჩილება.

დესპოტურ სახელმწიფოებში, სადაც არ არსებობს ძირითადი კანონები, არც კანონთა შემნახავი ორგანო არსებობს, ამით აიხსნება ის, რომ ამ ქვეყნებში რელიგიას, ჩვეულებრივ, იმდენი ძალა აქვს, რომ იგი თავისებური უფლებამოსილების მატარებელია; ხოლო თუ რელიგია ამ ფუნქციას არ ასრულებს, მაშინ კანონთა ნაცვლად თავყვანს სცემენ ადათ-წესებს.

V თ ა ვ ი

დესპოტური სახელმწიფოს შესაბამისი კანონები

→ დესპოტური ძალაუფლების ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ადამიანი, რომელიც მას უნდა ახორციელებდეს, მას განახორციელებინებს ერთ სხვას. ადამიანი, რომელსაც მისი ხუთივე გრძნობა გამოუდმებით ეუბნება, რომ იგი ყველაფერია, ხოლო დანარჩენი კი არაფერი, ჩვეულებრივ, ზარმაცი, უვიცი და ავხორცი ხდება. ის თავს ანებებს საქმეებს. მაგრამ, თუ საქმეები ბევრს მიანდო, ეს გამოიწვევს კამათს მათ შორის. მოეწყობა ინტრიგები პირველი მონის ადგილის დასაკავებლად. ხელმწიფე იძულებული იქნება დაუბრუნდეს მმართველობას. ამიტომ უფრო ადვილია მიანდოს ყველაფერი ერთ ვეზირს, რომელსაც მისი თანაბარი ძალაუფლება ექნება⁴⁸. ვეზირის დაყენება ასეთი სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

← ამბობენ, რომ ერთ პაპს, როცა მას ირჩევდნენ, დიდხანს შეუკავებია თავი, რადგან თავის უუნარობას გრძნობდა. ბოლოს დათანხმებულა და მთელი საქმეები თავისი ძმისწულისათვის მიუნიდა. შემდეგში კი, თურმე, აღტაცებული ამბობდა: “ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ეს ასე ადვილი ყოფილა“. იგივე ითქმის აღმოსავლეთის ხელმწიფეებზეც, როცა ისინი ტახტზე დასასმელად გამოჰყავთ ხოლმე იმ პატიმრობიდან, რომელშიც საჭურისებმა მათ გული და გონება დაუსუსტეს და ხშირ შემთხვევაში მათი მდგომარეობაც კი დაავიწყეს, ისინი ჯერ გაოცებულნი არიან ხოლმე, მაგრამ რაკი ვეზირი დაინიშნა, რაკი თავის სერალში ყველაზე უფრო პირუტყვულ ვნებებს მიეცემიან და დაინახავენ, თუ რა ადვილად სრულდება მათი ყველაზე უგუნური კაპრიზები მონურად მორჩილი კარის მიერ, ისინი ასევე თვლიან, რომ ეს ძალიან ადვილი ყოფილა.

რაც უფრო დიდია იმპერია, მით უფრო დიდია სასახლე და,

რესპუბლიკებთან აიგივებენ ხოლმე და მას გამოორიცხულად თვლიან მონარქიებში. დასასრულ, ვინაიდან დემოკრატიაში ხალხს ერთი შეხედვით თითქმის ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც სურს, თავისუფლება ამ სახის მმართველობებს დაუკავშირეს და ამგვარად ერთმანეთში არიეს ხალხის ძალაუფლებისა და თავისუფლების ცნებები.

III თ ა ვ ი

რა არის თავისუფლება

მართალია, დემოკრატიაში ხალხს, ერთი შეხედვით, შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება სრულებითაც არ მდგომარეობს იმის კეთებაში, რაც მოგვესურება. სახელმწიფოში, ე.ი. საზოგადოებაში, სადაც არის კანონები, თავისუფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ ვისურვოთ, და იძულებულნი არ ვიყოთ ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ არ ვისურვოთ.

უნდა გავარკვიოთ, რა არის დამოუკიდებლობა და რა არის თავისუფლება. თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია; და თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის, რასაც კანონები კრძალავენ, მაშინ მას აღარ ექნება თავისუფლება, რადგან იგივე შესაძლებლობა სხვებსაც ექნებათ⁴⁴⁴

IV თ ა ვ ი

იანვე თანის გაბრკალება

დემოკრატია და არისტოკრატია თავიანთი ბუნებით სრულებითაც არ არიან თავისუფალი სახელმწიფოები. პოლიტიკური თავისუფლება მხოლოდ ზომიერ მმართველობაშია. თუმცა, იგი ყოველთვის არც ზომიერ სახელმწიფოებში გვხვდება; ეს უკანასკნელი აქ მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ადგილი არ აქვს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. მაგრამ საუკუნეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალაუფლების მქონე ნებისმიერი ადამიანი მიდრეკილია მისი ბოროტად გამოყენებისაკენ; ამას იგი მანამდე სჩადის, სანამ ზღვარი არ დაედება. მაგრამ ვინ დაუდებს მას ამ ზღვარს! თვით ქველობაც კი საჭიროებს ზღვარს.

იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს ძალაუფლების ბოროტად

გამოყენება, საჭიროა თვით საგანთა ისეთი წყობა, რომ ძალაუფლებას ძალაუფლება აოკებდეს. სახელმწიფო წყობა შეიძლება ისეთი იყოს, რომ არავინ განიცდიდეს იძულებას, აკეთოს ის, რასაც კანონი არ ავალებს, და არ აკეთოს ის, რის ნებასაც კანონი აძლევს.

V თ ა ვ ი

სხვადასხვა სახელმწიფოთა მიზანი

თუმცა ზოგადად ყველა სახელმწიფოს ერთი და იგივე მიზანი - თავისთავის შენარჩუნება აქვს, მაინც თითოეულ სახელმწიფოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზანიც გააჩნია. რომის მიზანი გაფართოება იყო, ლაკედემონისა - ომი, იუდეველთა კანონებისა - რელიგია, მარსელისა - ვაჭრობა, ჩინეთის⁴⁴⁵ კანონებისა - საზოგადოებრივი სიმშვიდე, როდოსელთა კანონებისა - ზღვაოსნობა, ველურთა თემობისა - ბუნებრივი თავისუფლება. საერთოდ დესპოტური სახელმწიფოების მიზანია ხელმწიფის სიამოვნება, მონარქიების მიზანი ხელმწიფისა და სახელმწიფოს დიდებაა. პოლონეთის კანონებს მიზნად აქვთ თითოეული ცალკეული ადამიანის დამოუკიდებლობა, და აქედან გამომდინარე ყველას ჩაგვრა⁴⁴⁶.

ქვეყნად არსებობს ისეთი ერიც, რომლის სახელმწიფო⁸ წყობასაც თავის უშუალო მიზნად პოლიტიკური თავისუფლება აქვს. განვიხილოთ საწყისები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის სახელმწიფოებრივ წყობას. თუ ეს საწყისები კეთილია, მაშინ თავისუფლება მათში ისე აირეკლება, როგორც სარკეში.

სახელმწიფო წყობაში პოლიტიკური თავისუფლების აღმოსაჩენად დიდი ჯაფა არ არის საჭირო. თუ ძალგვიძს მისი დანახვა იქ, სადაც იგი არის, მაშინ რაღად გვინდა მისი ძებნა?

VI თ ა ვ ი

ონგლისის სახელმწიფო წყობა

ყოველ სახელმწიფოში სამი სახის ხელისუფლებაა: კანონმდებელი ხელისუფლება, საერთაშორისო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა აღმასრულებელი ხელისუფლება და სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა ხელისუფლება.

პირველის ძალით ხელმწიფე ან მაგისტრატი ქმნის დროებით ან

სამუდამო კანონებს და ასწორებს ან აუქმებს არსებულ კანონებს; მეორის ძალით აცხადებს მშვიდობას ან ომს, გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სახელმწიფოს აცილებს შემოსევებს; მესამის ძალით იგი სჯის დანაშაულებებს ან განიკითხავს კერძო პირთა უთანხმოებებს. ამ უკანასკნელს შეიძლება ვუწოდოთ სასამართლო ხელისუფლება, ხოლო მეორეს, უბრალოდ, სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

მოქალაქისათვის პოლიტიკური თავისუფლება ის სულიერი სიმშვიდეა, რომელიც თითოეულის უსაფრთხოების შეგნებიდან მომდინარეობს⁴⁵⁸; იმისათვის, რომ გვექონდეს ეს თავისუფლება, საჭიროა ისეთი მმართველობა, როცა ერთ მოქალაქეს მეორის შიში არ ექნება.

როდესაც ერთ პიროვნებაში ან ერთ მაგისტრატურაში გაერთიანებულია კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება, თავისუფლებას ადგილი არ აქვს, რადგან გვეშინია, ამ მონარქმა ან სენატორმა არ შექმნას ტირანული კანონები იმისთვის, რომ ისინი ტირანულად განახორციელოს.

თავისუფლება ასევე არ გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო ხელისუფლება განცალკევებული არაა კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ იგი შეერთებული იქნება კანონმდებელ ხელისუფლებასთან, მაშინ მისი ძალაუფლება მოქალაქეთა სიცოცხლისა და თავისუფლების მიმართ თვითნებური იქნება, რადგან მოსამართლე თვითონვე იქნება კანონმდებელი; თუ ეს ხელისუფლება შეერთებული იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება მჩაგვრელი გახდეს.

ყველაფერი წახდება, თუ ერთი ადამიანი, ან მთავართა და კეთილშობილთა ერთი კორპუსი, ან ხალხის ერთი კორპუსი განახორციელებს სამსავე ხელისუფლებას: კანონების შექმნას, სახალხო გადაწყვეტილებათა განხორციელებას და დანაშაულთა და კერძო პირთა უთანხმოებების გასამართლებას.

ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის მმართველობა ზომიერია, რადგან ხელმწიფე, რომელსაც უჭირავს პირველი ორი ხელისუფლება, მესამის განხორციელებას თავის ქვეშევრდომთ ანდობს. თურქებთან, სადაც სამივე ეს ხელისუფლება სულთნის პიროვნებაშია გაერთიანებული, საშინელი დესპოტიზმი სუფევს.

იტალიის რესპუბლიკაში, სადაც სამივე ხელისუფლება გაერთიანებულია, თავისუფლება ნაკლებია, ვიდრე ჩვენს მონარქიებში. ამიტომ მმართველობა თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის ისეთივე ძალადობის შემცველ საშუალებებს⁹ საჭიროებს, როგორც თურქთა სახელმწიფო. ამას მოწმობს სახელმწიფო ინკვიზიტორებისა და ისეთი ყუთის არსებობა, სადაც ნებისმიერ დამბეზღებელს ნებისმიერ დროს შეუძლია ძაფით ჩაუშვას

თავისი ბრალდება⁴⁴⁹.

წარმოგიდგენიათ, როგორი უნდა იყოს მოქალაქის მდგომარეობა ამ რესპუბლიკაში! მთელი ძალაუფლება მაგისტრატურის კორპუსის ხელშია, როგორც იმ კანონთა აღმასრულებლისა, რასაც იგი თავის თავს ანიჭებს, როგორც კანონმდებელი. მას შეუძლია გააჩანაგოს სახელმწიფო თავისი განუსაზღვრელი სურვილებით და, ვინაიდან მას სასამართლო ხელისუფლებაც აქვს, მას ძალუძს ყოველი კერძო მოქალაქის გაჩანაგებაც თავის კერძო სურვილთა დასაკმაყოფილებლად.

აქ მთელი ძალაუფლება ერთიანია და თუმცა არავითარი გარეგანი ზარ-ზეიმი არ მიგვანიშნებს დესპოტი ხელმწიფის არსებობას, იგი მაინც ყოველ წუთს იგრძნობა.

ამიტომ ხელმწიფეები, რომლებიც დესპოტიზმისაკენ ილტვოდნენ, ყოველთვის საქმეს იწყებდნენ თავიანთ პიროვნებაში ყველა ძალაუფლების გაერთიანებით; ევროპის მრავალმა ხელმწიფემ თავისი საქმე სახელმწიფოს ყველა თანამდებობის დაჭერით დაეწყო.

მე მიმაჩნია, რომ იტალიის რესპუბლიკის წმინდა მემკვიდრეობითი არისტოკრატია ზუსტად არ შეესატყვისება აზიის დესპოტიზმს. ზოგჯერ მაგისტრატთა სიმრავლე არბილებს მაგისტრატურას; ყველა კეთილშობილი ყოველთვის არ ეთანხმება ერთსა და იმავე გეგმებს. იქმნება სხვადასხვა სასამართლოები, რომლებიც ერთმანეთს აზომიერებენ. ასე, მაგალითად, ვენეციაში დიდ საბჭოს აქვს საკანონმდებლო, პრეგადიას - აღმასრულებელი, ხოლო კვარანტებს - სასამართლო ხელისუფლება. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ეს სხვადასხვა სასამართლოები ერთი და იმავე კორპუსის მაგისტრატებისაგან შედგება, რაც საბოლოოდ მაინც ერთ ძალაუფლებას ქმნის.

სასამართლო ძალაუფლება უნდა ეძლეოდეს არა მუდმივ სენატს, არამედ იგი უნდა ხორციელდებოდეს ხალხის წრიდან არჩეული პირების მიერ⁴⁵⁰ წლის გარკვეულ დროს და კანონით დადგენილი წესით, რათა შეიქმნას ისეთი სასამართლო, რომლის ხანგრძლივობაც აუცილებლობის ფარგლებს ვერ გადასცდება.

ამგვარად, სასამართლო ძალაუფლება, რომელიც ესოდენ შემზარავია ხალხისათვის, დაკავშირებული არ იქნება არც გარკვეულ წოდებასთან, არც გარკვეულ პროფესიასთან: იგი, ასე ვთქვათ, უხილავი და შეუმჩნეველი გახდება. მოსამართლეები გამუდმებით თვალწინ არ გვეყოლებიან და მაშინ მაგისტრატების შიში კი აღარ გვექნება, არამედ მაგისტრატურისა.

ასევე აუცილებელია, რომ დიდი ბრალდებების შემთხვევაში დამნაშავე კანონის თანახმად ირჩევდეს მოსამართლეებს ან, ყოველ შემთხვევაში, იმდენის აცილების შესაძლებლობა მაინც ჰქონდეს, რომ დარჩენილნი მის მიერ არჩეულებად იქნენ ჩათვლილინ.

დანარჩენი ორი ხელისუფლება შეიძლება მივანდოთ მაგისტრატებს ან მუდმივ კორპუსებს, ვინაიდან ისინი არ ეხებიან არცერთ კერძო პირს. ერთი მათგანი სახელმწიფოს საერთო ნების გამოხატულებაა მხოლოდ, მეორე კი ამ უკანასკნელის აღსრულებაა.

მაგრამ თუ სასამართლოები უცვლელი არ უნდა იყოს, სამაგიეროდ მოსამართლის გადაწყვეტილებები იმდენად უცვლელი უნდა იყოს, რომ ყოველთვის მხოლოდ კანონის ზუსტ ტექსტს წარმოადგენდნენ. თუ სასამართლო გადაწყვეტილებები მოსამართლის კერძო შეხედულების გამოხატულება იქნება, მაშინ ადამიანებს საზოგადოებაში ცხოვრება მოუხდებათ ისე, რომ ზუსტად არ ეცოდინებათ მოვალეობები, რომლებიც მათ ეკისრებათ.

ასევე საჭიროა, რომ მოსამართლენი და დამნაშავენი ერთი სოციალური მდგომარეობისა (condition) ან თანასწორნი იყვნენ, რათა დამნაშავემ არ იფიქროს, რომ იგი იმ ადამიანთა ხელში ჩავარდა, რომელთაც მიდრეკილება აქვთ, ამ უკანასკნელის მიმართ ძალდატანება ჩაიდინონ.

თუ კანონმდებელი ხელისუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას მიანიჭებს იმ მოქალაქეთა დაპატიმრების უფლებას, რომელთაც შეუძლიათ თავდებობა წარმოადგინონ თავიანთი მომავალი მოქმედების თაობაზე, მაშინ თავისუფლება აღარ იქნება; გამოწვევისა მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ადამიანს დაუყოვნებლივ აპატიმრებენ ისეთ ბრალდებაზე პასუხის საგებად, რომელიც კანონით მძიმე დანაშაულია. ამ შემთხვევაში დაპატიმრებული, მართლაც, თავისუფალნი არიან, რადგან ისინი მხოლოდ კანონის ძალას ექვემდებარებიან. მაგრამ თუ კანონმდებელი ხელისუფლება ჩათვლის, რომ მას საფრთხეს უქმნის რაღაცა ფარული შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ ან ვიღაცის შეთანხმება გარეშე მტრებთან, მაშინ აღმასრულებელ ხელისუფლებას ნება აქვს დააპატიმროს მოკლე და განსაზღვრული დროით ეჭვმიტანილი მოქალაქეები, რომლებიც ამით მხოლოდ დროებით დაკარგავენ თავისუფლებას, რათა სამუდამოდ შეინარჩუნონ იგი.

ეს ერთადერთი გონივრული საშუალებაა, რომელიც შეცვლის ეფორთა ტირანულ მაგისტრატურას და ვენეციის ამდენადვე დესპოტ სახელმწიფო ინკვიზიტორთა ძალაუფლებას.

ვინაიდან თავისუფალ სახელმწიფოში ყოველი ადამიანი, რომელიც თავისუფალი სულის მქონედ ითვლება, თვითონ უნდა განაგებდეს თავის თავს, კანონმდებელი ხელისუფლება იქ მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ, ვინაიდან ეს შეუძლებელია დიდ სახელმწიფოებში, ხოლო პატარა სახელმწიფოებში ბევრ უხერხულობასთანაა დაკავშირებული, საჭიროა, რომ ხალხმა თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით აკეთოს ის, რისი გაკეთებაც თვითონ არ ძალუძს.

ადამიანებმა გაცილებით უკეთ იციან თავიანთი ქალაქის საჭიროებები, ვიდრე სხვა ქალაქისა; და უკეთ აფასებენ თავიანთი მეზობლების უნარს, ვიდრე სხვა თანამემამულეებისას. ამიტომ კანონმდებელი კორპუსის წევრები საერთოდ არ უნდა ირჩეოდნენ მთელი ერის შემადგენლობიდან, არამედ საჭიროა, რომ ყოველი დიდი დასახლებული ადგილის მაცხოვრებლებმა თვითონ აირჩიონ თავიანთი წარმომადგენელი.

წარმომადგენელთა დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შესწევთ უნარი საქმეებზე მსჯელობისა. ხალხი ამისათვის არ გამოდგება; ესაა დემოკრატიის ერთ-ერთი დიდი უხერხულობა.

აუცილებელი არ არის, რომ წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთ ამომრჩეველთაგან მიღებული აქვთ ზოგადი რწმუნება (*l'instruction générale*), მათგან დებულობენ კერძო მითითებებს თითოეულ საქმეზე, როგორც ეს მიღებულია გერმანიის სეიმეში. მართალია, ამგვარი საშუალებით დეპუტატთა სიტყვა უფრო მეტად გამოხატავს ერის ხმას, მაგრამ ეს გამოიწვევს დაუსრულებელ დაყოვნებას, ყოველი დეპუტატის დანარჩენთა ბატონად ქცევას და თვით ყველაზე გადაუდებელი საქმეების შემთხვევაშიც კი ერის მთელი ძალის შეფერხებას ვილაციის კაპრიზის მიერ.

ბატონი სიდნეი⁴⁵¹ კარგად ამბობს, რომ, თუ დეპუტატები ხალხის ერთი ფენის წარმომადგენლები არიან, როგორც ეს პოლანდიაშია, მაშინ მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ იმათ, ვინც ისინი აირჩიან; სხვაა, როდესაც ისინი ქალაქთა წარმომადგენელნი არიან, როგორც ეს ინგლისშია. თავ-თავის ოლქში ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება წარმომადგენლის ასარჩევად, გარდა იმ ადამიანებისა, რომელთა მდგომარეობაც ისე დაბალია, რომ მათ ვეღარ ჩათვლიან საკუთარი ნების მქონედ.

ბევლ რესპუბლიკათა უმრავლესობას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: აქ ხალხს უფლება ჰქონდა მიეღო აქტიური გადაწყვეტილებები, რომლებიც აღსრულებას მოითხოვდა, ანუ ის, რისი უნარიც მას სრულებით არ ჰქონდა. ხალხის მონაწილეობა მმართველობაში უნდა ისაზღვრებოდეს მხოლოდ თავის წარმომადგენელთა არჩევით, რაც მას ძალიან კარგად ძალუძს, რადგან თუმცა ცოტაა ისეთი ვინმე, ვისაც უნარი შესწევს ზუსტად განსაზღვროს ადამიანთა შესაძლებლობები, სამაგიეროდ ყოველ ადამიანს შეუძლია იცოდეს, მის მიერ არჩეული პირი სხვაზე უფრო გონებაგახსნილია თუ არა.

წარმომადგენლობითი კორპუსი, ასევე, არ უნდა იყოს არჩეული რაიმე აქტიური გადაწყვეტილების მისაღებად; ეს ისეთი რამაა, რასაც იგი კარგად ვერ შეასრულებს. მაგრამ კანონების შესაქმნელად ან იმის დასანახავად, კარგად სრულდება თუ არა მის მიერ შექმნილი კანონები, ასეთი კორპუსი სავსებით გამოდგება და ამ საქმის გაკეთება მხოლოდ მას ძალუძს.

სახელმწიფოში ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი წარმოშობით, სიმდიდრით ან ღირსებებით, მაგრამ თუ ისინი ხალხში იქნებიან არეული და თუ მათ სხვა დანარჩენებით ერთი ხმა ექნებათ, მაშინ საყოველთაო თავისუფლება მათთვის მონობა იქნება და მათ არავითარი ინტერესი არ ექნებათ თავისუფლების დაცვისა, რადგან გადაწყვეტილებათა უმრავლესობა მათ საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. ამიტომ მათი წილი კანონმდებლობაში პროპორციული უნდა იყოს იმ სხვა უპირატესობებისა, რომლებიც მათ სახელმწიფოში აქვთ, ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ისინი შექმნიან განსაკუთრებულ კორპუსს (le corps), რომელსაც უფლება ექნება შეაჩეროს ხალხის წამოწყებები ისევე, როგორც ხალხს აქვს უფლება მათი წამოწყებების შეჩერებისა.

ამგვარად, კანონმდებელი ხელისუფლება მინდობილი ექნება როგორც კეთილშობილთა კორპუსს, ისე ხალხის წარმომადგენელთა კორპუსსაც, რომელთაგანაც თითოეულს თავისი კრებები და გადაწყვეტილებები, მიზნები და ინტერესები ექნება სხვებისაგან დამოუკიდებლად.

სამ ხელისუფლებაში, რომლის შესახებაც ვილაპარაკეთ, სასამართლო ხელისუფლება, გარკვეული აზრით, არარსებულია (nulle). რჩება მხოლოდ ორი ხელისუფლება და, ვინაიდან მათ ზომიერების მისაღწევად სჭირდებათ მარეგულირებელი ხელისუფლება, ამ მიზნისათვის ძალიან შესაფერისი იქნება კანონმდებელი კორპუსის ის ნაწილი, რომელიც კეთილშობილებისაგან შედგება.

კეთილშობილთა კორპუსი მემკვიდრეობითი უნდა იყოს. იგი თავისი ბუნებითვეა ასეთი. გარდა ამისა, იგი ძალიან უნდა იყოს დაინტერესებული თავისი პრეროგატივების შენარჩუნებით, რომლებიც, თავისთავად აღებულნი, ოდიოზური (საძულველნი) არიან და თავისუფალ სახელმწიფოში ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა იდგნენ.

მაგრამ ვინაიდან მემკვიდრეობით ძალაუფლებას შეიძლება მისი კერძო ინტერესები აქეზებდეს სახალხო ინტერესთა დასავიწყებლად, საჭიროა ყოველთვის, როცა საზოგადოებრივ ინტერესთა დალატისათვის მას სერიოზული მოტივი აქვს - მაგალითად, როცა საქმე გადასახადებს ეხება, - მისი წვლილი კანონმდებლობაში ისაზღვრებოდეს აღკვეთის უნარით და არა დადგენის უნარით.

“დადგენის უნარს“ მე ვუწოდებ საკუთარი ბრძანების გაცემის ან სხვისი ბრძანების შესწორების უფლებას. “აღკვეთის უნარში“ კი ვგულისხმობ სხვის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ანუღირების უფლებას, რაშიც მდგომარეობდა რომის ტრიბუნთა ძალაუფლება. და თუმცა იმას, ვისაც აღკვეთის უფლება აქვს,

ასევე შეიძლება ჰქონდეს მოწონების უფლებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მოწონება სხვა არაფერია, თუ არა განცხადება იმის შესახებ, რომ არ ვიყენებთ აღკვეთის უფლებას; ამგვარად, ერთი მეორიდან გამომდინარეობს.

აღმასრულებელი ხელისუფლება მონარქის ხელში უნდა იყოს, რადგან მმართველობის ეს მხარე, რომელიც თითქმის ყოველთვის საჭიროებს სწრაფ ქმედებას, უკეთ სრულდება ერთის, ვიდრე მრავლის მიერ; რაც შეეხება კანონმდებელ ხელისუფლებას, ეს უკანასკნელი ხშირად უკეთ წესრიგდება მრავლის, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ.

მონარქია რომ არ არსებობდეს და აღმასრულებელი ხელისუფლება რომ მინდობილი ჰქონდეს კანონმდებელი კორპუსიდან შერჩეულ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, მაშინ აღარ იარსებებდა თავისუფლება, რადგან ორივე ხელისუფლება გაერთიანებული აღმოჩნდებოდა; ერთსა და იმავე პირებს ზოგჯერ უფლება ექნებოდათ მონაწილეობა მიეღოთ როგორც ერთ, ისე მეორე ხელისუფლებაში, ამას ისინი ყოველთვის შეძლებდნენ.

თავისუფლება აღარც იმ შემთხვევაში იარსებებდა, თუ კანონმდებელი კორპუსი დიდი ხნის განმავლობაში არ შეიკრიბებოდა, რადგან ამ შემთხვევაში ან შეწყდებოდა კანონმდებლობითი გადაწყვეტილებების მიღება და სახელმწიფო ანარქიაში ჩავარდებოდა, ან კიდევ ამ ფუნქციას აღმასრულებელი ხელისუფლება შეასრულებდა და იგი აბსოლუტური გახდებოდა.

საჭირო არ არის, რომ კანონმდებელი კორპუსი მუდამ შეკრებილი იყოს. ეს უხერხული იქნებოდა წარმომადგენელთათვის და, გარდა ამისა, ძლიერ დააკავებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას: იგი თავისი პრეროგატივების აღსრულებაზე კი არ იზრუნებდა, არამედ ამ პრეროგატივებისა და მათი აღმასრულებლის უფლების დაცვაზე.

უფრო მეტიც, კანონმდებელი კორპუსი მუდმივად შეკრებილი რომ იყოს, შეიძლება ისე მოხდეს, რომ მას სხვა საქმე არა დარჩეს რა, გარდა გარდაცვლილი წევრების ახალი წევრებით შეცვლისა და ამ შემთხვევაში თუ კანონმდებელი კორპუსი ერთხელ გაიხრწნებოდა, მანკი განუკურნავი იქნებოდა; როდესაც სხვადასხვა კანონმდებელი კორპუსები ერთმანეთს ენაცვლებიან, ხალხი, რომელიც ცუდადაა განწყობილი არსებული კანონმდებელი კორპუსის მიმართ, სამართლიანად ამყარებს თავის იმედებს მის შემცვლელ კორპუსზე, მაგრამ თუ კორპუსი უცვლელი იქნება, ხალხს, ერთხელვე დაინახავს თუ არა მის გახრწნილებას, არაფერი კარგის იმედი უკვე აღარ ექნება მისი კანონებისაგან, რაც მის რისხვას ან გულგრილობას გამოიწვევს.

კანონმდებელი კორპუსი თავისით არ უნდა იკრიბებოდეს; რადგან კორპუსს მხოლოდ მაშინ სცნობენ ნების მქონედ, როცა იგი

შეკრებილია, და თუ ის ერთსულოვნად არ იკრიბება, მაშინ არ შეგვეძლება იმის თქმა, თუ რომელი ნაწილი იქნება ჭეშმარიტად კანონმდებელი კორპუსი: ის, რომელიც შეიკრიბა, თუ რომელიც არ შეკრებილა. მას რომ ჰქონდეს თავისი სხდომის ვადის გაგრძელების უფლება, შეიძლება ისე მოხდეს, რომ იგი მას არასოდეს არ შეწყვეტს. ეს საშიში იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეცდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელყოფას; მაგრამ არის გარკვეული ვადები, რომლებიც სხვა ვადებზე უფრო ხელსაყრელია კანონმდებელი კორპუსის შესაკრებად; ამიტომ საჭიროა, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაადგინოს კრების ჩატარების დრო და ხანგრძლივობა მისთვის ცნობილი გარემოებისდა მიხედვით.

თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონმდებელი კორპუსის წამოწყებების შეჩერების უფლება არ ექნება, ეს უკანასკნელი დესპოტური გახდება, რადგან, ექნება რა შესაძლებლობა, მიანიჭოს თავის თავს ნებისმიერი ძალაუფლება, რომელსაც კი მოისურვებს, იგი არარად გახდის ყველა სხვა ხელისუფლებას.

მაგრამ საჭირო არ არის, რომ კანონმდებელ ხელისუფლებას თავის მხრივ ჰქონდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შეჩერების უფლება: ვინაიდან აღსრულებას თავისი ბუნებითვე ზღვარი აქვს, მისი შეზღუდვა უაზრობაა. გარდა ამისა, აღმასრულებელ ხელისუფლებას ყოველთვის საქმე აქვს ისეთ საკითხებთან, რომლებიც სწრაფად გადაჭრას მოითხოვენ. რომის ტრიბუნათა ნაკლი ის იყო, რომ მათ შეეძლოთ შეეჩერებინათ არა მარტო კანონმდებელი, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებაც, რაც დიდ ბოროტებებს იწვევდა.

მაგრამ თუ თავისუფალ სახელმწიფოში კანონმდებელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შეჩერების უფლება, სამაგიეროდ მას უფლება და უნარიც უნდა ჰქონდეს, შეამოწმოს, თუ როგორ ხორციელდება მის მიერ შექმნილი კანონები. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ მმართველობის უპირატესობა კრეტისა და ლაკედემონის მმართველობასთან შედარებით, სადაც კოსმები და ეფორები⁴⁵² ანგარიშვალდებულნი არ იყვნენ თავიანთ მმართველობაზე⁴⁵³.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს შემოწმება, კანონმდებელ კორპუსს უფლება არ უნდა ჰქონდეს გაასამართლოს ის პიროვნება და, მასასადამე, მისი მოქმედებაც, ვინც აღმასრულებელ ფუნქციას ასრულებს. ამ უკანასკნელის პიროვნებას ისე უნდა მოეპყრან, როგორც წმინდას, რადგან სახელმწიფოსათვის აუცილებელია, რომ კანონმდებელი კორპუსი ტირანად არ იქცეს*. იმ მომენტიდან, როცა

* როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში ის აქვს, რომ კანონმდებლის მოქმედება ტენდენციური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას პასუხისმგებლობა ელის (მთარგმნ. შენ.).

კანონმდებელს ბრალი წაეყენება ან სამართალში მიეცემა, აღარ იარსებებს თავისუფლება.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მონარქია კი არ იქნებოდა, არამედ რესპუბლიკა თავისუფლების გარეშე, მაგრამ, ვინაიდან იმას, ვისაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის, მისი ბოროტად გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმიტომ, რომ ავი მრჩევლები ჰყავს, რომლებსაც, როგორც მინისტრებს, სძულთ კანონები, თუმცა იწონებენ მათ, როგორც ადამიანები. დასაშვებია ამ მრჩევლების დაკითხვა და დასჯა. ამ მმართველობის უპირატესობა გნიდოსის მმართველობასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იქ კანონი არ უშვებდა ამომონთა⁴⁵⁴ სამართალში მიცემას მათი მმართველობის ვადის გასვლის შემდეგაც კი⁴⁵⁵. ამის გამო ხალხი ვერასოდეს ვერ აღწევდა იმას, რომ მათთვის პასუხი ეგებინებინა მიყენებულ უსამართლობათათვის.

თუმცა საერთოდ სასამართლო ხელისუფლება არასოდეს არ უნდა იყოს შეერთებული კანონმდებელი ხელისუფლების არცერთ ნაწილთან, მაგრამ არსებობს სამი გამონაკლისი, რომლებიც გამომდინარეობენ სამართალში მიცემულის კერძო ინტერესიდან.

დიდებულნი ყოველთვის შურის საგანი არიან, ამიტომ, თუ მათ ხალხი გაასამართლებს, ისინი საფრთხეში აღმოჩნდებიან და მათზე არ გავრცელდება პრივილეგია, რომლითაც სარგებლობს თავისუფალი სახელმწიფოს თვით უმცირესი მოქალაქეც კი, რომელიც თავის თანასწორთა მიერ სამართლდება. ამიტომ საჭიროა, რომ კეთილშობილთ ასამართლებდეს არა ერის ჩვეულებრივი სასამართლო, არამედ კანონმდებელი კორპუსის ის ნაწილი, რომელიც შედგება კეთილშობილთაგან.

შეიძლება მოხდეს, რომ კანონი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ნათელმხილველიცაა და ბრმაც, ზოგიერთ შემთხვევაში მეტისმეტად მკაცრი იყოს. მაგრამ ერის მსაჯულნი, როგორც ვთქვით, სხვა არა არიან რა, თუ არა ბაგე, რომლითაც კანონი მეტყველებს; არსებანი, რომელთაც არ ძალუძთ არც მისი ძალის და არც სიმკაცრის შემცირება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მოვალეობა თავის თავზე უნდა აიღოს კანონმდებელი კორპუსის იმ ნაწილმა, რომელზეც სხვა შემთხვევაში ვილაპარაკეთ როგორც აუცილებელ სასამართლოზე. ამ სასამართლოს უმაღლესმა ავტორიტეტმა უნდა შეარბილოს კანონი თვით კანონისავე სასარგებლოდ, გამოიტანს რა ნაკლებად მკაცრ გადაწყვეტილებას, ვიდრე კანონი ითვალისწინებს.

შეიძლება ასეც მოხდეს, რომ რომელიმე მოქალაქე სახალხო საქმეში დაარღვევს ხალხის უფლებებს და ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომელსაც არსებული მაგისტრატები არ დასჯიან ან ვერ დასჯიან. მაგრამ, საერთოდ, კანონმდებელ ხელისუფლებას მოსამართ-

ლეობის უფლება არა აქვს. მით უფრო არ ძალუძს მას ეს იმ კერძო შემთხვევაში, როცა იგი წარმომადგენლობს დაინტერესებულ მხარეს, როგორცაა ხალხი. ამგვარად, იგი მხოლოდ ბრალმდებელი შეიძლება იყოს. მაგრამ ვის წინაშე გამოთქვამს იგი ბრალდებას? ნუთუ იმ სასამართლოთა წინაშე, რომლებიც მისი ქვემდგომია და, ამასთანავე, შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც - რამდენადაც მასავით ხალხს ეკუთვნიან, - დათრგუნვილი აღმოჩნდებიან ასეთი მაღალი ბრალმდებლის ავტორიტეტით? არა, ხალხის ღირსებისა და კერძო პირის უსაფრთხოების დასაცავად საჭიროა, რომ ხალხის კანონმდებელი ნაწილი ბრალდებას აყენებდეს წარჩინებულთა ნაწილის წინაშე, რომელსაც არა აქვს არც იგივე ინტერესები, რაც პირველს, და არც იგივე ვნებათაღელვა.

ამაში მდგომარეობს ამ მმართველობის უპირატესობა ძველ რესპუბლიკათა უმრავლესობის მმართველობასთან შედარებით, სადაც ის ზადი არსებობდა, რომ ხალხი ერთსა და იმავე დროს მოსამართლედ იყო და ბრალმდებელიც.

აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც ვთქვით, უნდა მონაწილეობდეს კანონმდებელ ხელისუფლებაში თავისი აღმკვეთი უფლების გზით, რის გარეშეც იგი მალე დაკარგავდა თავის პრეროგატივებს. მაგრამ თუ კანონმდებელი ხელისუფლება მონაწილეობას მიიღებს აღსრულებაში, მაშინ აღმასრულებელი ხელისუფლება გაუქმებული აღმოჩნდება.

თუ მონარქი მონაწილეობას მიიღებს კანონმდებლობაში თავისი ბრძანებულებითი (de statuer) უფლებით, მაშინ თავისუფლება აღარ იარსებებს. მაგრამ, ვინაიდან მაინც საჭიროა, რომ იგი მონაწილეობდეს კანონმდებლობაში საკუთარი ინტერესების დასაცავად, მისი მონაწილეობა უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ აკრძალვის უფლებით.

რომის მმართველობის შეცვლის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ სენატს, რომელსაც ეპყრა აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი ნაწილი, და მაგისტრატებს, რომელთაც ეპყრათ მისი მეორე ნაწილი, ხალხივით არ ჰქონდათ კანონთა მოქმედების შეჩერების ძალა.

აი, ძირითადი წყობა მმართველობისა, რომლის შესახებაც საუბარი გვაქვს: კანონმდებელი კორპუსი ორი ნაწილისაგან შედგება და ერთი მეორეს აკავებს იმით, რომ ერთიმეორის მოქმედების შეჩერების უფლება აქვთ. ორივე ნაწილი ერთიმეორესთან შეკრულია აღმასრულებელი ძალაუფლებით, რომელიც თავის მხრივ შეკრულია კანონმდებელი ძალაუფლების მიერ. ეს სამი ძალაუფლება სიმშვიდეს და სიწყნარეს უნდა ქმნიდეს, მაგრამ ვინაიდან საგანთა აუცილებელი მოძრაობის წყალობით ამათაც მოძრაობა უხდებათ, ესენი იძულებულნი იქნებიან შეთანხმებულად იარონ.

ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება კანონმდებელ

ხელისუფლებაში მონაწილეობს მხოლოდ თავისი აღმკვეთი უფლების ძალით, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმეთა განხილვაში. ისიც კი არაა აუცილებელი, რომ მან შეიტანოს თავისი წინადადება, რადგან მას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა არ მოიწონოს კანონმდებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებები და უკუაგდოს იმ წინადადებათა საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებაც მისთვის არასასურველია.

ზოგ ანტიკურ რესპუბლიკაში, სადაც საქმეებს მთელი ხალხი იხილავდა, ბუნებრივი იყო, რომ აღმასრულებელ ძალაუფლებას შეეტანა წინადადებები და ხალხთან ერთად განეხილა ისინი. ეს რომ არა, გადაწყვეტილებებში დიდი არევე-დარევა იქნებოდა.

თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ხალხის თანხმობის გარეშე დაადგენს სახაზინო შემოსავლის გადიდებას, თავისუფლება აღარ გვექნება, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება კანონმდებელი გახდება კანონმდებლობის ამ უმნიშვნელოვანეს პუნქტში.

თუ კანონმდებელი ხელისუფლება არა წლიური ვადით, არამედ სამუდამოდ დაადგენს სახაზინო შემოსავლის გადიდებას, იგი საფრთხეში ჩააგდებს თავის თავისუფლებას, რადგან აღმასრულებელი ძალაუფლება მასზე დამოკიდებული აღარ იქნება. თუ ასეთი უფლება სამუდამოდ იქნება მოპოვებული, მნიშვნელობას დაკარგავს, ვისგან იქნება მიღებული ეს უფლება: საკუთარი თავისგან თუ სხვისგან. იგივე მოხდება, თუ კანონმდებელი ხელისუფლება არა წლიური ვადით, არამედ სამუდამოდ გამოიტანს დადგენილებებს სახმელეთო და საზღვაო ძალების შესახებ, რომლებიც მან უნდა მიანდოს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

იმისათვის, რომ იმან, ვისაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის, ვერ შეძლო სხვათა ჩაგვრა, საჭიროა, რომ მისადმი დაქვემდებარებული არმიები ხალხისაგან შედგებოდეს და ხალხის სულისკვეთებით იყოს გამსჭვალული, როგორც ეს რომში იყო მარიუსის დრომდე⁴⁵⁶. იმისათვის, რომ ეს ასე იყოს, ორი რამაა საჭირო: ან იმათ, ვინც ჯარში მსახურობს, საკმაო ქონება უნდა ჰქონდეთ, რათა მით პასუხი აგონ თავიანთ მოქმედებაზე სხვა მოქალაქეთა წინაშე, და, ამასთანავე, მათი სამსახური უნდა განისაზღვრებოდეს ერთი წლით, როგორც ეს ხდებოდა რომში; ან, თუ არსებობს მუდმივი არმია, რომლის ჯარისკაცებიც ხალხის ყველაზე ველურ ნაწილს წარმოადგენენ, კანონმდებელ ხელისუფლებას უფლება უნდა ჰქონდეს ამ ჯარის დაშლისა მაშინვე, როგორც კი მოინდომებს. ჯარისკაცები მოქალაქეებთან ერთად უნდა ცხოვრობდნენ. საჭირო არ არის ცალკე ბანაკების, ყაზარმებისა და სიმაგრეების არსებობა.

რაკილა ერთხელ შეიქმნება, არმია არ უნდა იყოს დამოკიდებული უშუალოდ კანონმდებელ კორპუსზე, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; ეს სავსებით ესადაგება თვით

საგნის ბუნებას, ვინაიდან არმიის დანიშნულება უფრო მოქმედებაა, ვიდრე გადაწყვეტილებათა მიღება.

ადამიანთა აზროვნებას ახასიათებს, რომ სიმამაცეს უფრო სცემენ პატივს, ვიდრე მოკრძალებას, აქტიურობას უფრო, ვიდრე სიფრთხილეს, ძალას უფრო, ვიდრე რჩევას. ჯარი ყოველთვის ზიზღით იქნება განწყობილი სენატის მიმართ და პატივისცემით - თავისი ოფიცრების მიმართ. იგი ყურს არ ათხოვებს ბრძანებებს, რომელთაც გაუგზავნის იმ ადამიანთაგან შემდგარი კრება, რომლებიც, მისი აზრით, უნიათონი არიან და ღირსნი არ არიან მას მბრძანებლობდნენ. ამიტომ, თუ არმია მხოლოდ კანონმდებელ კორპუსზე იქნება დამოკიდებული, მმართველობა სამხედრო გახდება. და თუ სადმე მოხდა გადახრა ამ წესიდან, იგი ყოველთვის გამოწვეული ყოფილა რაიმე საგანგებო გარემოებებით, მაგალითად, იმით, რომ არმია იქ ყოველთვის განცალკევებული იყო; იმით, რომ ის შედგებოდა მრავალი ნაწილისაგან, რომლებიც სათითაოდ დამოკიდებულნი იყვნენ გარკვეულ პროვინციებზე; იმით, რომ დედაქალაქები ჩინებულად იყვნენ დაცულნი თავისი ბუნებრივი მდებარეობით, რის გამოც იქ არმიის ნაწილებს არ აჩერებდნენ.

პოლანდია კიდევ უფრო უკეთაა დაცული, ვიდრე ვენეცია; მას შეუძლია ამბოხებულ ნაწილთა წყლით წალეკვა ან შიმშილით ამოუღებ-ტა. იქ არმიები განლაგებული არ არიან ქალაქებში, რომელთაც არ ძალუძთ მათ სარჩო მისცენ; ამგვარად, მათი სარჩო იქ არამყარია.

მაგრამ, თუ იმ შემთხვევაში, როცა არმიას განაგებს კანონმდებელი კორპუსი, განსაკუთრებული გარემოებები არ მისცემენ ხელისუფლებას საშუალებას სამხედრო ხელისუფლებად იქცეს. სხვა უხერხულობაც ჩნდება, ორიდან ერთი რამ მოხდება: ან არმია გაანადგურებს მთავრობას, ან ეს უკანასკნელი დააუძღურებს არმიას. და ამ დაუძღურებას საბედისწერო წყარო ექნება: მისი მიზეზი თვით მმართველობის უძღურება იქნება.

თუ მოვისურვებთ წავიკითხოთ ტაციტუსის საუცხოო ნაწარმოები "გერმანთა ზნე-ჩვეულებებისათვის"⁴⁵⁷, დავინახავთ, რომ პოლიტიკური მმართველობის იდეა ინგლისელებმა გერმანელებისაგან აიღეს. ეს ჩინებული სისტემა ტყეში იქნა აღმოჩენილი.

როგორც ყოველ ადამიანურ მოვლენას აქვს თავისი დასასრული, ასევე სახელმწიფოც, რომლის შესახებაც ჩვენ საუბარი გვაქვს, დაკარგავს თავის თავისუფლებას და დაიღუპება, როგორც დაიღუპა რომი, ლაკედემონი და კართაგენი. იგი მაშინ დაიღუპება, როცა კანონმდებელი ხელისუფლება უფრო გაიხრწნება, ვიდრე აღმასრულებელი.

ჩემი საქმე არაა შევისწავლო, მართლაც სარგებლობენ თუ არა ამჟამად ინგლისელები თავისუფლებით. ვკმაყოფილდები იმის თქმით, რომ თავისუფლება დადგენილია მათ კანონებში, სხვა არაფერი

მაინტერესებს.

ჩემს განზრახვას სრულებით არ შეადგენს ამით სხვა მმართველობების დამცირება, არც იმის თქმა, რომ ამ უკიდურესმა პოლიტიკურმა თავისუფლებამ უნდა შეურაცხყოს ისინი, ვისაც მხოლოდ ზომიერი თავისუფლება აქვთ. როგორ ვიტყოდი ამას, როდესაც მე თვითონ მიმაჩნია, რომ ზედმეტი ზოგჯერ გონებაც კი არ ვარგა და, რომ ადამიანები თითქმის ყოველთვის უფრო ეგუებიან საშუალოს, ვიდრე უკიდურესობებს.

პარინგტონმა⁴⁵⁸ თავის "ოცენანაში" ასევე გამოიძია, თუ რა იქნება თავისუფლების უმაღლესი საფეხური, რომელსაც შეიძლება მიაღწიოს სახელმწიფო წყობამ, მაგრამ ამ ავტორის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისუფლებას მხოლოდ მას შემდეგ იძიებს, რაც მასზე მცდარი წარმოდგენა შეიქმნა, და რომ მან ქალკედონი მაშინ ააშენა, როცა ბიზანტიონის ნაპირი თვალწინ ჰქონდა⁴⁵⁹.

VII თ ა ვ ი

ჩვენთვის ცნობილი მონარქიკა

მონარქიებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ⁴⁶⁰, თავის უშუალო მიზნად თავისუფლება არა აქვთ, იმ მონარქიისაგან განსხვავებით, რომელზედაც ეხლახან ვისაუბრეთ; ისინი მხოლოდ მოქალაქეთა, სახელმწიფოსა და ხელმწიფის დიდებისაკენ ილტვიან. მაგრამ ამ დიდებიდან მომდინარეობს თავისუფლების სულისკვეთება, რომელსაც ასევე ძალუძს ამ სახელმწიფოებში დიდ საქმეთა ქმნა და, შესაძლებელია, ხალხთა ბედნიერებისათვის თავისუფლებაზე უფრო მეტად ხელის შეწყობაც შეუძლია.

სამი ხელისუფლება აქ სრულებით არ არის განაწილებული და სახელმწიფო წყობის იმ ნიმუშზე დამყარებული, რომლის შესახებაც წედან ვისაუბრეთ. აქ თითოეული ეს ხელისუფლება თავ-თავისებურადაა განაწილებული და მით მეტ-ნაკლებად ახლოსაა პოლიტიკურ თავისუფლებასთან.

უამისოდ მონარქია დესპოტიზმში გადაიზრდებოდა.

VIII თ ა ვ ი

რატომ არ აქონდათ ძველებს საკმარის ნათელი წარმოდგენა მონარქიაზე

ძველები სრულებით არ იცნობდნენ წარჩინებულთა კორპუსებზე